



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სააქციო საზოგადოების - ჩაჩავას კლინიკა (შემდგომში - კლინიკა) არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისა და არსებული გაიდლაინების საფუძველზე ახორციელებს პაციენტთათვის სამედიცინო სერვისების მიწოდებას.

წინამდებარე პოლიტიკა ადგენს სს ჩაჩავას კლინიკის (შემდგომში — „კლინიკა“) მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ერთიან სტანდარტებს.

2. დოკუმენტი ვრცელდება კლინიკის ყველა სტრუქტურულ ერთეულზე, თანამშრომელზე, კონტრაქტორზე და ნებისმიერ პირზე, რომელიც კლინიკის სახელით ამუშავებს მონაცემებს.

3. პოლიტიკის მიზანია პაციენტთა, მათი კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომლებისა და ვიზიტორების უფლებების დაცვა, მონაცემთა უსაფრთხოების გარანტირება და სამედიცინო საიდუმლოების დაცვის უმაღლესი სტანდარტის დამკვიდრება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. პერსონალური მონაცემი (შემდგომ - მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

2. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

3. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი – მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა;



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

4. ბიომეტრიული მონაცემი – ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან (როგორიცაა, მაგალითად: სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი ან დაქტილოსკოპიური მონაცემები) დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა;

5. მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

6. მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა – თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ;

7. დოკუმენტში გამოყენებული სხვა ტერმინები განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) შესაბამისად.

მუხლი 3. პოლიტიკის დოკუმენტის მიზნები და ამოცანები

1. პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (შემდგომ - პოლიტიკის დოკუმენტი) წარმოადგენს კლინიკის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვისთვის შემუშავებული წესების ერთობლიობას, რომლის მიზანია კლინიკაში პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების რეალიზაცია.

2. პოლიტიკის დოკუმენტის ამოცანებია:

- ა) კლინიკის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების განსაზღვრა;
- ბ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა;
- გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგება.

მუხლი 4. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები

1. კლინიკა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, საექიმო საქმიანობის



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

შესახებ საქართველოს კანონით, პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-16/ნ "სამედიცინო სერვისის მიწოდებელი სამედიცინო სტაციონარული დაწესებულებებიდან მელოგინისა და ახალშობილის გაწერის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №478-331-182/ნ "ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში დაბადების შემდეგ მიტოვებული ახალშობილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციის პროცედურის განსაზღვრის შესახებ" ბრძანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი 2016 წლის 24 აგვისტოს №01-37/ნ– №173 "დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანებით, მათ შორის, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტებით.

2. მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

- ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეუღალავად. მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის ვალდებულება არ ვრცელდება კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებზე;
- ბ) მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
- გ) მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;
- დ) მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;
- ე) მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დადგენილი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული/სამართლებრივი აქტით;
- ვ) მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

მუხლი 5. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოცულობა

1. კლინიკა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესასრულებლად, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ასევე, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი.

2. კლინიკა, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ფიზიკური პირის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს შემდეგი საორგანიზაციო/საოპერაციო პროცესების განხორციელების დროს:

ა) კლინიკის ლიცენზიებით და ნებართვებით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება;

ბ) შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შესრულება;

გ) ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება და კანდიდატის შერჩევა;

დ) დასაქმებულთა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;

ე) დასაქმებულთა და მათი ოჯახის წევრების სხვადასხვა კორპორატიული მომსახურებით უზრუნველყოფა;

ვ) კლინიკის საქმისწარმოების სისტემაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა;

ზ) კლინიკის შენობა-ნაგებობებში შესვლისა და გასვლის აღრიცხვა;

თ) დისციპლინური საქმისწარმოება;

ი) დასაქმებულთა მომსახურების ხარისხის სტანდარტის შემოწმება იდუმალი მომხმარებლის კვლევის საშუალებით;

კ) კლინიკის პაციენტთა ელექტრონული უკუკავშირი;

ლ) კლინიკაში არსებულ სერვისებთან დაკავშირებით სატელეფონო და ონლაინ კომუნიკაციის საშუალებებით საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების გაწევა;

მ) კლინიკის მომხმარებელთა მატერიალური უკუკავშირი (პაციენტის შეფასება).

3. კლინიკა, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, მონაცემებს ამუშავებს სხვადასხვა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოცულობის ფარგლებში. თუ კონკრეტული სამართლებრივი აქტი არ განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს ან მონაცემთა მოცულობას, კლინიკა თავად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პროცესს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებსა და იმ კანონიერ მიზნებსა და მოთხოვნებს, რომლისთვისაც ისინი მუშავდება.

4. კლინიკის მიერ პირის პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს ასევე მონაცემთა სუბიექტის თანხმობით, რომელიც გამოხატული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. კლინიკის მიერ ამ წესის შესაბამისად დამუშავებული პერსონალური მონაცემები, ინახება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების - "სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

ბრძანებითა - "სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

მუხლი 6. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი და პირობები

1. კლინიკაში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება ფიზიკურ პირთა უსაფრთხოების, საკუთრების დაცვის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის, სამედიცინო შეცდომების პრევენციისა და საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობის დაცვით მტკიცებულებად გამოყენების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მიზნით, კლინიკა ახორციელებს ვიდეომონიტორინგს კლინიკის მართვაში არსებული ვიდეოკამერების მეშვეობით, რომლებიც განთავსებულია კლინიკის შიდა და გარე პერიმეტრზე, დერეფნებში, შესასვლელებში, მისაღებსა და საოპერაციო დარბაზებში.

3. იმ შემთხვევაში, თუ ვიდეოკამერის სათვალთვალო პერიმეტრში ხვდება სამუშაო ადგილი, აღნიშნულ სამუშაო ადგილზე დასაქმებული ყველა პირი წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოჩანაწერების განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

4. კამერების განთავსების ადგილზე უნდა იყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.

7. ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაზე წვდომის კონტროლი

1. ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაზე წვდომა მკაცრად არის შეზღუდული და იყოფა შემდეგ დონეებად:

ა) რეალურ რეჟიმში მონიტორინგი - მხოლოდ მიმდინარე კადრების დათვალიერება;

ბ) ჩანაწერების გადახვევა და დათვალიერება - უფლებამოსილი პირის მიერ არქივის შემოწმება;

გ) ჩანაწერების გადმოწერა - მონაცემების ამოღება მხოლოდ სამართლებრივი აუცილებლობისას;

დ) ტექნიკური მხარდაჭერა - სისტემის გამართვაზე პასუხისმგებელი პირის წვდომა.

2. ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაში აღირიცხება (ლოგირდება) ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა ქმედება - ვინ, როდის და რა მიზნით დაათვალიერა, გადაახვია ან გადმოწერა ჩანაწერი.

3. ვიდეოჩანაწერები ინახება არაუმეტეს 5-10 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩანაწერი საჭიროა მიმდინარე სამართლებრივი დავისთვის.



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

8. აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი

1. კლინიკაში მომსახურების ხარისხის მუდმივი მონიტორინგის, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამართლებრივი ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით, ხორციელდება კლინიკის ბალანსზე რიცხულ სატელეფონო მოწყობილობებზე შემავალი და გამავალი ზარების აუდიომონიტორინგი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზნით აუდიომონიტორინგი ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის პრევენციული ინფორმირების საფუძველზე, რაც ხდება უშუალოდ ინტერაქციის დაწყებამდე, ავტომატური ხმოვანი შეტყობინების მეშვეობით, ხოლო კომუნიკაციის გაგრძელება განიხილება, როგორც პირის მიერ ნების თავისუფალი გამოვლენა და კონკლუდენტური თანხმობა მისი მონაცემების დამუშავებაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ჩანაწერები კლინიკის დაცულ ელექტრონულ სისტემაში ინახება 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადით და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მათი გამოყენება მტკიცებულების სახით ადმინისტრაციული თუ სასამართლო დავების ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 9. კლინიკის, როგორც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება

1. კლინიკა მომხმარებელთა მომსახურების პროცესის დროს ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას ახორციელებენ, როგორც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები - დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის და მისი სახელით.

2. კლინიკას, როგორც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველია საქართველოს ნორმატიული აქტი ან/და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/თანხმობის ფორმა.

3. კლინიკის, როგორც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების მოცულობა და წვდომის ფარგლები განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტით ან/და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით/წერილობითი თანხმობით.

4. კლინიკა ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული ზომები ამ მუხლის საფუძველზე დამუშავებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 10. მონაცემთა უსაფრთხოება



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

1. კლინიკა, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, მიღებული აქვს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად და საჭიროების შემთხვევაში შეძლებს, დაადასტუროს მონაცემთა დამუშავების კანონთან შესაბამისობა.

2. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მონაცემთა კატეგორიების, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნის, ფორმის, საშუალებებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, კლინიკას დადგენილი აქვს შემდეგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები:

ა) თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად, განსაზღვრულია მონაცემებზე მათი წვდომის ფარგლები;

ბ) გამოყოფილია მატერიალური ფორმით არსებული მონაცემების შესანახი საცავები, სადაც დაშვება გააჩნიათ მხოლოდ აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილ განყოფილების თანამშრომლებს;

გ) ხორციელდება ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა (ე.წ. ლოგირება);

დ) არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას უზრუნველყოფილია მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის) აღრიცხვა;

ე) კლინიკაში დასაქმების შემთხვევაში, თანამშრომლებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით და საქმიანობის პერიოდში სისტემატურად ხდება მათი ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

მუხლი 11. მონაცემთა გამჟღავნება

1. კლინიკის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გადაცემა მესამე პირებისათვის ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. მონაცემების გამჟღავნება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპებისა და საფუძვლების გათვალისწინებით და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია შეფასდეს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.

მუხლი 12. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

1. კლინიკა ატარებს საჭირო ორგანიზაციულ და სამართლებრივ ღონისძიებებს, რათა დაცული იქნეს მონაცემთა სუბიექტის უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კლინიკას, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს:

ა) ინფორმაცია მის შესახებ არსებულ მონაცემთა დამუშავების თაობაზე;



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

ბ) მის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გაცნობა და მიიღოს მათი ასლები შესაბამისი წესის დაცვით;

გ) მონაცემთა გასწორება, განახლება და შევსება;

დ) მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა, განადგურება ან დაბლოკვა (თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

ე) მისი მონაცემების სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა;

ვ) გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა;

3. თუ მომხმარებელი მიიჩნევს, რომ კლინიკის მიერ მონაცემთა დამუშავება არ შეესაბამება კანონით დადგენილ წესებს, მისი უფლებების დაცვის მიზნით, შეუძლია მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

მუხლი 13. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით სს ჩაჩავას კლინიკისა და მისი თანამშრომლების უფლებები და ვალდებულებები

1. სს ჩაჩავას კლინიკა ვალდებულია:

ა) გაატაროს ადეკვატური ღონისძიებები თანამშრომელთა მიერ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტების თავიდან ასაცილებლად, გამოსავლენად და აღსაკვეთად;

ბ) ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ;

გ) ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ;

დ) კანონით გათვალისწინებულ ან/და მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში დაბლოკოს/წაშლოს მონაცემები;

ე) მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება და დამუშავებული მონაცემები წაშლოს ან განადგუროს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ვ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული კანონით განსაზღვრული ინფორმაცია აღრიცხოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სს ჩაჩავას კლინიკის ყველა თანამშრომელი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან, ვალდებულია:

ა) ფლობდეს ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დაცვის წესების შესახებ და დაიცვას ისინი;

ბ) პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნით, ამ მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობითა და სამართლებრივი საფუძვლით;



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

გ) მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტსა და მის მიერ უფლებამოსილ პირს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნისა და საფუძვლის, მონაცემთა შენახვის ვადის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, მონაცემთა მიმღების შესახებ.

დ) არ გასცდეს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული/ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ თავისი ფუნქციის შესასრულებლად;

ე) მონაცემთა დამუშავებისას არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობა და საიდუმლოება, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

3. სს ჩაჩავას კლინიკის თანამშრომელს უფლება აქვს, ფლობდეს ინფორმაციას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, ასევე, აღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით მიმართოს სს ჩაჩავას კლინიკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა პირს.

მუხლი 14. მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება

1. თუ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ან/და მონაცემების დამუშავების მნიშვნელოვანი ცვლილებისას, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე, მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე სს ჩაჩავას კლინიკა ვალდებულია, წინასწარ განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება.

2. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების შესახებ შედეგა წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შესაძლო საფრთხეების შეფასებას და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების აღწერას.

3. თუ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების შედეგად გამოვლინდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი საფრთხე, რომლის არსებითად შემცირება შეუძლებელია დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომებით, სს ჩაჩავას კლინიკა უარს იტყვის მონაცემთა დამუშავებაზე.

მუხლი 15. ინციდენტის იდენტიფიცირების პროცედურა და ინციდენტის შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი

1. ინციდენტის იდენტიფიცირების პროცესში სს ჩაჩავას კლინიკა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით.



სააქციო საზოგადოება ჩაჩავას კლინიკის მიერ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

2. სს ჩაჩავას კლინიკის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ნებისმიერი ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა პირს.

3. ინციდენტის თაობაზე შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ინციდენტის გარემოებების, სახისა და დროის შესახებ;

ბ) ინციდენტის შედეგად უნებართვოდ გამჟღავნებული, დაზიანებული, წაშლილი, განადგურებული, მოპოვებული, დაკარგული, შეცვლილი მონაცემების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის, აგრეთვე იმ მონაცემთა სუბიექტების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ინციდენტის შედეგად შეექმნათ საფრთხე.

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი შეტყობინების მიღებისთანავე ან/და ინციდენტის მის მიერ გამოვლენის შემთხვევაში ვალდებულია:

ა) შეაფასოს ინციდენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ მიაწოდოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

გ) ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტს, თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. ინციდენტის აღრიცხვისა და შესაბამისი რეესტრის წარმოების პასუხისმგებლობა ასევე ეკისრება სს ჩაჩავას კლინიკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა პირს.

მუხლი 16. მონაცემთა დამუშავების კანონიერების მონიტორინგი

1. სს ჩაჩავას კლინიკაში თანამშრომლების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა პირი.

2. სს ჩაჩავას კლინიკის თანამშრომელი ვალდებულია შემოწმების განხორციელებისას, დარღვევასთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის უფლებამოსილ პირს.

3. პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ დამუშავებისათვის სს ჩაჩავას კლინიკის თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობა განისაზღვრება სს ჩაჩავას კლინიკის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.